ლიბერთი

კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში©2025

ლიბერთი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია, რომელიც 1,8 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირსა და 64 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურება. ბანკის აქტივები 5,8 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 5 600-ს აღემატება.

ლიბერთი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ყველაზე ფართო ქსელით: 500-მდე მომსახურების ცენტრით, 700-მდე ბანკომატით, თვითმომსახურებისა და 11 000 POS ტერმინალით საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში.

განვითარებული ინფრასტრუქტურის გარდა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ციფრული სერვისები და დისტანციური მომსახურება.

ლიბერთის მისიაა, გააუმჯობესოს თითოეული ადამიანის, მათი ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება საქართველოში.

© 2025

ᲪᲘᲤᲕᲔᲠᲗᲘ

© 2025

განათლება თავისუფლებისთვის
ღიაობა

ლიბერთისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ცალკეული პროექტების ერთობლიობა — ეს არის ჩვენი, როგორც მდგრადი ბიზნესის, განვითარების სტრატეგიული საფუძველი.

2025 წელს ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს.

ჩვენი პრიორიტეტი კვლავ ხარისხიანი განათლებაა. გვჯერა, რომ განათლების საფუძველი წიგნიერებაა, რაც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას გააზრებულად მიიღონ ინფორმაცია, განავითარონ კრიტიკული აზროვნება და შექმნან ახალი შესაძლებლობები.

ამ მიდგომას ემსახურება ლიბერთის საგანმანათლებლო ინიციატივები, მათ შორის „მთიელი წიგნები", რომელიც უკვე წლებია წიგნებზე ხელმისაწვდომობას ზრდის იმ რეგიონებში, სადაც ეს ყველაზე მეტად საჭიროა.

როგორც პოზიტიური ცვლილებების მომტანი ორგანიზაცია, ვაგრძელებთ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც განათლება და წიგნიერება რეალური შესაძლებლობების შექმნისა და მდგრადი განვითარების საფუძვლად იქცევა.

© 2025

წლების წინ, როდესაც განათლება ჩვენს მთავარ პრიორიტეტად განვსაზღვრეთ, ვიცოდით, რომ შედეგს მხოლოდ თანმიმდევრული და გრძელვადიანი ძალისხმევით მივაღწევდით. დღეს ლიბერთის საგანმანათლებლო ინიციატივების ბენეფიციართა რიცხვი 40,000-ს აჭარბებს და კიდევ უფრო მტკიცედ გვჯერა, რომ სწორედ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს და საფუძველს უყრის პროგრესს.

2025 წელს ჩვენი სტრატეგიული ფოკუსი კიდევ უფრო მეტად მივმართეთ წიგნიერების დონის ამაღლებისკენ. ლიბერთის წვლილი საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების გზაზე, პირველ რიგში, ხარისხიანი განათლების მხარდაჭერაში გამოიხატება.

ლიბერთის პრიორიტეტია, შევამციროთ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებები, რათა საქართველოს არც ერთი კუთხე, მათ შორის, ყველაზე შორეული მაღალმთიანი სოფლები, არ დარჩეს საგანმანათლებლო რესურსების მიღმა.

თუმცა განათლება მხოლოდ წიგნებზე ხელმისაწვდომობას არ გულისხმობს – გადამწყვეტია მისი შინაარსი და ღირებულებები, რომლებსაც მომავალ თაობას ვუზიარებთ. მაგალითად, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, „ვეფხისტყაოსანი", ჩვენთვის არაა მხოლოდ წარსულის საგანძური. ის წარმოადგენს მომავალი თაობების კრიტიკული აზროვნებისა და კულტურული იდენტობის ერთ-ერთ საფუძველს. სწორედ ამიტომ, პროექტით „ვთამაშობთ „ვეფხისტყაოსანს" და სხვა ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივებით, ვცდილობთ ეს ფუნდამენტური ღირებულებები თანამედროვე, ინტერაქციული ფორმით ახალგაზრდების ყოველდღიურობის ნაწილად ვაქციოთ.

ლიბერთი აგრძელებს ინკლუზიურობისა და თანაბარი შესაძლებლობების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ჩვენი მიზანი უცვლელია: მივცეთ ადამიანებს მოტივაცია და რესურსი, რათა ცოდნა გარდაქმნან წარმატებად – საკუთარი თავისთვის, საზოგადოებისა და ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენი CSR სტრატეგია არის დაპირება, ქმედება და უკვე მიღწეული შედეგები, რომლებიც ადასტურებს, რომ ლიბერთი ყოველთვის იქნება არა მხოლოდ ფინანსური და სტრატეგიული პარტნიორი, არამედ პოზიტიური ცვლილებების აქტიური მონაწილე, რომელიც ზრუნავს მომავალი თაობების კეთილდღეობაზე.

ბექა გოგიჩაიშვილი

გენერალური დირექტორი
ლიბერთი ბანკი

41 952

ახალგაზრდა გახდა
საგანმანათლებლო
პროექტის მონაწილე

60	ახალგაზრდა მეწარმემ დაიწყო პროდუქციის რეალიზება
7 482	წიგნი გადაეცა საჩუქრად მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს
235	ბავშვი მაღალმთიანი რეგიონიდან ჩაერთო პროექტში "ვთამაშობთ „ვეფხისტყაოსანს"
401	ლიბერთის თანამშრომელს დაუფინანსდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ფონდისგან "გულით ერთმანეთისთვის"
70%	ლიბერთის კორპორაციული მდგრადობის პროექტების ბენეფიციარი ქალია

© 2025

40 575 083

უნიკალური სოციალური ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებელთა დაზოგილი თანხა

80

პარტნიორი ორგანიზაცია ჩაერთო ლიბერთის სოციალური ლოიალობის პროექტში

10 537

ადამიანს ჩაუტარდა პირველადი უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკა რეგიონებში პროექტის MY DOC ფარგლებში

30%

ლიბერთი ბანკში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი

50%

ტოპ მენეჯმენტი

80%

მენეჯერულ პოზიციაზე

ბანკში დასაქმებული

© 2025

ლიბერთი
განათლებისთვის

© 2025

01.
მთიელი წიგნები

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

პარტნიორობა
მიზნების
მისაღწევად

„მთიელი წიგნები“ უკვე ოთხი წელია ზრუნავს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ბავშვებისთვის წიგნებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და წიგნიერების განვითარებაზე.

პროექტი ხელს უწყობს წიგნის პოპულარიზაციას, კითხვის ინტერესის გაჩენასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას იმ გარემოში, სადაც საგანმანათლებლო რესურსებზე შეზღუდული წვდომის გამო, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

© 2025

01.

© 2025

„ლიბერთი უკვე მეოთხე წელია პროექტ „მთიელი წიგნების“ სტრატეგიული პარტნიორია. პროექტის დამფუძნებლებთან ერთად, ბანკის კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, რომ საქართველოს არც ერთ მაღალმთიან სოფელში არც ერთი ბავშვი არ დარჩეს წიგნის გარეშე.

ინიციატივა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მაღალმთიან სოფლებში წიგნიერების დონის ამაღლებაში. წიგნებზე ხელმისაწვდომობა ბავშვებს ეხმარება კითხვისადმი ინტერესის გაჩენასა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში.

2025 წელს „მთიელმა წიგნებმა“ იმერეთში იმოგზაურა. პროექტის ფარგლებში ეს მეექვსე მასშტაბური გასვლა იყო, რომლის შედეგად რეგიონის მაღალმთიან სოფლებში 3 000-ზე მეტი წიგნი დარიგდა.

პროექტი გრძელდება და მიზნად ისახავს კიდევ უფრო ფართო გეოგრაფიული არეალის დაფარვას – შემდეგი ეტაპი სამეგრელოს რეგიონია.

© 2025

„ოთხი წლის განმავლობაში „მთიელმა წიგნებმა" უამრავი ბავშვი გაახარა, მიუტანა მათთვის სანატრელი წიგნები და შექმნა განსაკუთრებული კავშირი ადგილობრივ თემებთან — ბავშვები ყოველ ჯერზე დიდი მოლოდინითა და სიხარულით ხვდებიან პროექტის გუნდის წევრებს. ლიბერთისთან სტრატეგიულმა პარტნიორობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პროექტის შესაძლებლობები — გაიზარდა ცნობადობა, გაფართოვდა მასშტაბი და გაიზარდა მისი სოციალური გავლენა. შედეგად, ყოველწლიურად უფრო მეტი ბავშვისთვის ხდება წიგნი, განათლება და წიგნიერება ხელმისაწვდომი, რაც თავიდანვე იყო „მთიელი წიგნების" მთავარი მიზანი.
ვიმედოვნებთ, რომ საერთო მიზანი — მთიელი ბავშვების გახარება და მათი წიგნიერების მხარდაჭერა — კიდევ დიდხანს გაგვაერთიანებს."

გიორგი კივილაძე
„მთიელი წიგნების" თანადამფუძნებელი

© 2025

„ჩვენთვის, პროექტის თითოეული მონაწილისთვის, „მთიელი წიგნების" მთავარი არსი რიცხვების მიღმა დგას და ესაა, პირველ რიგში, ბავშვების გულწრფელი სიხარულისგან გაბრწყინებული თვალები და შემდეგ იმის გაცნობიერება, რომ დღეს ნაჩუქარ ერთ წიგნსაც კი შეუძლია მათი მომავლის შეცვლა. დაუვიწყარია მათი ემოციები, როდესაც წიგნებს ხელიდან ხელში გადავცემთ, ვსაუბრობთ, ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებსა და აზრებს, ერთად ვიღებთ ფოტოებს — სწორედ ამ ურთიერთობებში იბადება ნამდვილი ინტერესი წიგნისა და კითხვის მიმართ. ამიტომაც ვირჩევთ პირადად ჩასვლას თითოეულ სოფელში — არა მხოლოდ კონკრეტული გამოცემების მისატანად, არამედ იმისთვის, რომ ბავშვებს წიგნთან ურთიერთობის გამოცდილებაც გავუზიაროთ. წიგნების შინაარსებთან ერთად, სწორედ ეს კავშირი და ემოციური ჩართულობა მიგვაჩნია იმ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც ბავშვებში კითხვის სიყვარულს აყალიბებს."

ტაპი ზაქარიაძე
ლიბერთის კორპორაციული
პასუხისმგებლობის მიმართულების ხელმძღვანელი

© 2025

4 წლის განმავლობაში (მთიელი წიგნების) პროექტის ფარგლებში		2025 წლის მონაცემები
5 047	ბავშვი	2400
7 482	წიგნი	3 702
2 500	წიგნი გზად შეხვედრილი ბავშვებისთვის	1100
60	ბიბლიოთეკა	25
212	სოფელი	92

© 2025

02.

ერთი კადრის ამბავი

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

პარტნიორობა
მიზნების
მისაღწევად

„ერთი კადრის ამბავი“ აერთიანებს ვიდეორგოლსა და ონლაინ ფოტოალბომს, სადაც „მთიელი წიგნებისა“ და ლიბერთის ოთხწლიანი თავგადასავალი ქვეყნის წამყვანი ფოტოგრაფების მიერ არის დანახული და მოთხრობილი.

საიმიჯო ვიდეორგოლი და ალბომი ასახავს პროექტის განსაკუთრებულ საგანმანათლებლო და სოციალურ მნიშვნელობასა და იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რაც ამ ერთობლივ თანამშრომლობას ბავშვებისთვის მოაქვს.

© 2025

ერთი კადრის ამბავი

ლიბერთისა და „მთიელი წიგნების“ ოთხწლიანი თანამშრომლობა 2025 წელს პირველი საიმიჯო ვიდეორგოლით შეჯამდა. „ერთი კადრის ამბავი“ რამდენიმე წუთში ჩატეული ემოციური თხრობაა, რომლის მთავარი გმირები სანატრელი წიგნებით გახარებული ბავშვები, ხოლო მთხრობელები — ჩვენი ქვეყნის წამყვანი ფოტოგრაფები არიან.

ლიბერთის ხელშეწყობით შეიქმნა „ერთი კადრის ამბავის“ მონაწილე ფოტოგრაფების ნამუშევართა ონლაინ კატალოგიც, რომელიც თავისთავად ძვირფასი მონაპოვარია როგორც ქართული ფოტოგრაფიის ისტორიისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვისაც.

© 2025

„ერთი კადრის ამბავი“ ჩვენი ქვეყნის ხუთმა გამორჩეულმა ფოტოგრაფმა შექმნა. ნათელა გრიგალაშვილი, ლელი ბლაგონრავოვა, დინა ოგანოვა, ქეთი გულისაშვილი და ანა ჭუმბურიძე „მთიელ წიგნებს“ სხვადასხვა დროს შეუერთდნენ და ამ მოგზაურობების, გარემოსა და ბავშვების დაუვიწყარი კადრები აღბეჭდეს.
„მთიელი წიგნები“, პირადად ჩემთვის, სამსახურისა და მოგზაურობის უნიკალური სინთეზია, სადაც ვივსებით ყველაზე ძლიერი ემოციებით. გარდა იმისა, რომ ძალიან სასიამოვნოა, როცა სხვა ადამიანის სიხარულის თანამონაწილე ხდები, ამასთან ერთად, უფრო ახლოს ეცნობი შენს ქვეყანას, შენს თანამემამულეებს და მათთან რაღაც განსაკუთრებულ ერთობას გრძნობ. ასეთი შეგრძნებები ეუფლება პროექტის ყველა წევრს, და დარწმუნებული ვიყავი, არც ფოტოგრაფები იქნებოდნენ გამონაკლისი. ასეც მოხდა. ვიდეორგოლში, რომელზეც შემოქმედებით ჯგუფთან ერთად რეჟისორმა ლევან ლუკა ნაკაშიძემ იმუშავა, ფოტოგრაფების უნიკალურ კადრებთან ერთად ნახავთ, როგორი ემოციით იხსენებენ ისინი ამ მოგზაურობებს და როგორ შეცვალა „მთიელმა წიგნებმა“ მათი ცხოვრებაც.“

ნინი ბუკია
ლიბერთის კორპორაციული
პასუხისმგებლობის მიმართულების მენეჯერი

© 2025

„განსაკუთრებით ამაღელვებელია, როცა ხედავ, ბედნიერებისგან თვალებგაბრწყინებული ბავშვები როგორ იკრავენ გულში ახალ წიგნებს."

ნათელა გრიგალაშვილი
ფოტოგრაფი

ფოტო: ნათელა გრიგალაშვილი

© 2025

ფოტო: ანა ჟუმბურიძე

„ჩვენი პროექტის მთავარი ამბავი ჩემთვის სწორედ ესაა – ამ პატარა ადამიანების სახეებზე წიგნებიდან არეკლილი იმედიანი შუქი.“

ანა ჟუმბურიძე
ფოტოგრაფი

© 2025

„ვნახე, როგორ შეიძლება შენი ცხოვრების დიდ მიზნად იქცეს სხვა ადამიანების გახარება და ვნახე, რომ თუ მოვინდომებთ, უკეთესები ვიქნებით, უფრო ადამიანურები, კეთილები, ან, უბრალოდ, კარგები.“

ქეთი გულისაშვილი
ფოტოგრაფი

© 2025

ფოტო: დინა ოგანოვა

„ზოგან ვერც კი ვაგნებდით სკოლას, ან აღარც არსებობდა. გიორგი ეძებდა ბავშვებს, პოულობდა და ყველას ცალ-ცალკე ესაუბრებოდა და ყველას სხვადასხვანაირად; უამბობდა იმ წიგნის შესახებ, რომელსაც პირადად მას ჩუქნიდა. და ვხედავდი, რომ ამ დროს თვალები უციმციმებდა. ჩემი მთავარი გმირი გიორგი კივილაძეა. ის, სინამდვილეში, თვითონაც ზუსტად ისეთივე ბავშვია, ვისთანაც თვითონ მიდის წიგნებით დატვირთული. სხვანაირად, ალბათ, არც გამოვიდოდა რამე."

დინა ოგანოვა
ფოტოგრაფი

© 2025

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

„ბევრს ემახსოვრება ბავშვობისდროინდელი განცდა – ვიღაც რომ რაღაცას დაგპირდება და რომ ელოდები. მერე დრო გადის, დაპირება ტყუილი გგონია, გავიწყდება კიდეც და მხოლოდ იმედგაცრუება გრჩება. რაღაც დროის შემდეგ კი ხედავ, რომ არავის მოუტყუებიხარ. ნამდვილი სიხარულია. ნდობა. უამრავი რამ. ამ წიგნების ამბავიც ხომ ასეა?"

ლელი ბლაგონრავოვა
ფოტოგრაფი

© 2025

ერთი კაჯრის ამბავი

Links

Links

© 2025

03.

ვთამაშობთ „ვეფხისტყაოსანს"

- ინოვაცია განათლებაში

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

„ვთამაშობთ „ვეფხისტყაოსანს" ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც სწავლების თანამედროვე ინტერაქციულ მეთოდოლოგიას ეფუძნება.

სხვადასხვა პოპულარული მედიის გამოყენებით, პროექტი ეხმარება მოსწავლეებს მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ძეგლის უკეთ გაცნობაში, კულტურული ფასეულობების გააზრებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

© 2025

© 2025

03. ვთამაშობთ "ვეფხისტყაოსანს"

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და ლიტერატურული ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ახალგაზრდების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. სწორედ ამიტომ, 2024 წლიდან ლიბერთის კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულების ინიციატივითა და მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „ვთამაშობთ "ვეფხისტყაოსანს".

მისი მიზანია ახალგაზრდებში საუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ძეგლის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში შექმნილი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებითა და აქტივობებით სწავლა-სწავლების პროცესი თანამედროვე, იტერაქციული და სახალისო ხდება, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე – მასწავლებლებისთვის.

© 2025

პროექტის ფარგლებში მაღალმთიანი აჭარის სკოლებსა და სამეგრელოს რეგიონში ლიტერატურათმცოდნე ლევან გელაშვილმა ჩაატარა შემეცნებითი ლექცია „საინტერესო ამბები რუსთაველზე", ლექციის შემდეგ კი მოსწავლეებმა „ვეფხისტყაოსნის" თემატიკაზე შექმნილი სამაგიდო თამაში ავტორთან ერთად ითამაშეს.
პროექტი „ვთამაშობთ "ვეფხისტყაოსანს" გრძელდება და მომავალ წელს უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი კონტენტით წარდგება საზოგადოების წინაშე.

© 2025

„მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, დღეს თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა ,,ვეფხისტყაოსნის'' პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქციულ გარემოში დაბრუნება. ლიტერატურული სამაგიდო თამაში ამ მხრივ უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან უშუალოდ რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში ამოგზაურებს მოთამაშეს და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება. ტექსტის შეცნობისათვის აუცილებელია მკითხველის იდენტიფიკაცია მის რომელიმე გმირთან ან მთლიანად ამბავთან. ამ მხრივ დაფის თამაშებს დიდი შესაძლებლობები გააჩნია. თამაშობ, ესე იგი მონაწილეობ ამბავში – მოგზაურობ ხელშესახებ სიტყვიერ გარემოში და აფორიზმებით იხსნება იმ სამყაროს კარი, რომელშიც ორგანულ ნაწილად იგრძნობ თავს."

ლევან გელაშვილი
ლიტერატურათმცოდნე

© 2025

„ვთამაშობთ "ვეფხისტყაოსანს" სამაგიდო თამაშების სერიაა, რომელიც რუსთაველის პოემის უკეთ გაცნობასა და გააზრებაში ძალიან გვეხმარება. აფორიზმების გაანალიზება, გმირების ამბების უკეთ გაგება და ის მხიარული, ინტერაქციული გარემო, რომელიც თამაშს თან ახლავს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სკოლის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა. უკვე ვიყავით ზემო აჭარაში, სამეგრელოსა და რაჭაში.
პროექტის იდეა ისაა, რომ მოზარდებს თანამედროვე და მათთვის გასაგები ფორმით გააცნოს „ვეფხისტყაოსნის" მთავარი იდეა და ღირებულებები - მეგობრობა, თავისუფლება, სიყვარული, თანასწორობა, შემეცნების სურვილი - ფასეულობები, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე პროგრესული საზოგადოების განვითარება.
ლიბერთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა ის პროექტი, რომელიც ახალი თაობისთვის ცოდნის გაზიარებას, განათლების მხარდაჭერასა და კულტურული ღირებულებების პოპულარიზაციას ემსახურება."

ნინი ბუკია
ლიბერთის კორპორაციული
პასუხისმგებლობის მიმართულების მენეჯერი

2 წლის განმავლობაში ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს პროექტის ფარგლებში

8

2025 წლის მონაცემები

3

სოფელი

235

125

ბავშვი

© 2025

© 2025

04.

წინ და წინ – ფინანსობანა

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

ღირსეული სამუშაო
ეკონომიკური ზრდა

ინტერაქციული პროექტის „წინ და წინ - ფინანსობანა" მიზანია, მოსწავლეები დააინტერესოს ფინანსური განათლების მნიშვნელობით და, რაც მთავარია, ეს პროცესი ხელმისწვდომი გახადოს მაქსიმალურად ბევრი მოზარდისთვის.

ინიციატივა ხორციელდება საქართველოს მასშტაბით და ემსახურება ახალგაზრდებში კრიტიკული მიდგომებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.

© 2025

© 2025

04.

ლიბერთი აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეებისთვის შემეცნებითი ინიციატივების განვითარებას. 2025 წელს ბანკი გახდა პროექტის „წინ და წინ – ფინანსობანა“ მხარდამჭერი და პარტნიორი.
პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინედუ-ს ორგანიზებით.



„წინ და წინ – ფინანსობანა“ მოზარდებისთვის განკუთვნილი პირველი ქართული ინტერაქციული სპექტაკლია ფინანსურ თემაზე. წარმოდგენა შეიქმნა „თამაშობანასთან“ თანამშრომლობით და მიზნად ისახავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში ფინანსური განათლების ხელშეწყობას. სპექტაკლი თამაშისა და ინტერაქციის ფორმით აცნობს ბავშვებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოება, დაზოგვა, მიზნების დასახვა და მეწარმეობის საფუძვლები.

© 2025

ლიბერთის აქტიური პარტნიორობით სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა. ინიციატივის ფარგლებში წარმოდგენას 8–12 წლის ასაკის 700 მოსწავლე დაესწრო, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვებში ფინანსური ცნობიერებისა და პრაქტიკული ცოდნის განვითარებას.

© 2025

„ფინედუ 10 წელია ფინანსური განათლების რესურსებს ქმნის ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისა და ზრდასრული მოსახლეობისთვის. ამ პროცესში ფასდაუდებელია საფინანსო სექტორთან თანამშრომლობა. უკვე წლებია ლიბერთი ჩვენი პროექტების აქტიური მხარდამჭერია. ფინანსური განათლების სპექტაკლიც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გაცოცხლებული იდეაა.
აქამდე მხოლოდ განათლების რესურსებს ვქმნიდით, ინტერაქციული სპექტაკლი „წინ და წინ ფინანსობანა" კი გამოცდილების შექმნის მცდელობაა – საუკეთესო შესაძლებლობა მოზარდებისთვის, დაფიქრდნენ, გაიაზრონ და სპექტაკლის გმირებთან ერთად განიცადონ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მათი ოცნებების ასრულებისათვის ფინანსურ განათლებას. ბიუჯეტზე, დაზოგვასა და კიბერუსაფრთხოებაზე აქამდე თუ წიგნებსა და ბროშურებში კითხულობდნენ, ამ სპექტაკლით, სცენაზე გაცოცხლებულ ისტორიაში მართასთან და თომასთან ერთად გაანაწილეს ბიუჯეტი, გაუმკლავდნენ კიბერ შეტევებს და მიაღწიეს დასახულ მიზანს.
ლიბერთის მხარდაჭერით სპექტაკლი „წინ და წინ ფინანსობანა" საქართველოს ორ რეგიონში წარსდგა მაყურებლის წინაშე რაც პროექტის კიდევ ერთი უპირატესობა და წარმატებაა, ვინაიდან რეგიონალური საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება გარკვეულ ლოჯისტიკურ სირთულეებსაც უკავშირდება.
დარწმუნებული ვარ, ის ბავშვები, რომლებიც ამ ჯადოსნური სანახაობის მონაწილეები იყვნენ, აუცილებლად მიაღწევენ მიზანს, რადგან ფინედუს რჩევებითა და ფინანსური ცოდნის დახმარებით მათ ეს ერთხელ უკვე შეძლეს!"

ქეთი ახალკაცი
საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი

2025 წელს

პროექტის **ფარგლებში**

2

სპექტაკლი

700

ბავშვი

© 2025

05. მწიგნობარი

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

პარტნიორობა
მიზნების
მისაღწევად

„მწიგნობარი“ ლიტერატურული კონკურსია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ამაღლებასა და რეგიონებში საგანმანათლებლო სივრცეების მხარდაჭერას.

ინიციატივა ეფუძნება მრავალმხრივ თანამშრომლობას და ხელს უწყობს კითხვის კულტურის გაძლიერებას, ცოდნის გაზიარებასა და ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესებში.

© 2025

© 2025

2025 წელს ლიბერთი კიდევ ერთი საგანმანათლებლო პროექტის მხარდამჭერი გახდა. „მწიგნობარი“ ცნობილი ქართველი მთარგმნელის, მწერლისა და ფილოსოფოსის, ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსია, რომელიც ყოველ წელს რაჭაში, ამბროლაურის რაიონში იმართება. ინიციატივის მიზანი ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ამაღლება და ტრადიციული საბიბლიოთეკო სივრცეების მხარდაჭერა-განვითარებაა. „მწიგნობარი“ მკითხველის კონკურსია, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო მკითხველს ავლენს.

© 2025

ლიბერთიმ „მწიგნობარი 2025“-ის „ვეფხისტყაოსნის“ ნომინაციაში გამარჯვებული ლიზი გოგსაძე დააჯილდოვა.

პროექტ „მთიელი წიგნების“ ფარგლებში მონაწილეებს საჩუქრებად წიგნები გადაეცათ. კონკურსანტებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ფილოლოგ ლევან გელაშვილის ლექციას და მასთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ სამაგიდო თამაშში ჩართულიყვნენ.

© 2025

„ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს რეგიონებში, სადაც მსგავსი ინიციატივები ახალგაზრდებისთვის ცოდნის მიღებისა და განვითარების მნიშვნელოვან სივრცეს ქმნის. „მწიგნობარი“ უკვე მრავალი წელია წარმატებით ტარდება და მასში მონაწილეობა ათასობით მოსწავლესა და ახალგაზრდას აქვს მიღებული. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდებში კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციას, თანამოაზრეების აღმოჩენას, იდეებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებას. ლიბერთის მხარდაჭერით, 2025 წელს კონკურსმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიიღო – გაიზარდა საპრიზო ფონდი და გაძლიერდა საზოგადოების ნდობა ინიციატივის მიმართ. ამასთან, კიდევ უფრო გამყარდა ჩვენი და „მთიელი წიგნების“ მრავალწლიანი თანამშრომლობა.”

გურამ გორდეზიანი
„მწიგნობარის” დამფუძნებელი

06.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

ხარისხიანი განათლება

შემცირებული უთანასწორობა

ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ ახალგაზრდებში ტექნოლოგიური განათლებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარების პლატფორმაა.

ინიციატივა ხელს უწყობს განათლების იმ ხარისხზე წვდომას, რაც პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. პარტნიორობაზე დაფუძნებული მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობას ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებაში.

© 2025

© 2025

ლიბერთი უკვე მეოთხე წელია „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის“ სტრატეგიული პარტნიორია. აღნიშნული ინიციატივა სრულად ეხმიანება ბანკის ხედვას ახალგაზრდების განათლებისა და ინოვაციური აზროვნების მხარდაჭერის მიმართულებით. კონკურსის მიზანია უფროსკლასელებში ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება და საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) მიმართულებებისადმი ინტერესის გაზრდა.

2025 წელს კონკურსის ფინალურ ეტაპზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 12 გუნდი მონაწილეობდა. ფინალისტებმა წარმოადგინეს პროექტები კოსმოსის, ავიაციის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო სფეროებში.

პირველი ადგილი და პრიზი აშშ-ში NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში გამგზავრება მოიპოვა კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის გუნდმა „კლასტერები". გუნდის მიერ შექმნილი პროექტი RescuedBy წარმოადგენს დრონებზე დაფუძნებულ, ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებულ საძიებო-სამაშველო სისტემას, რომელიც რთულად მისადგომ რეგიონებსა და კატასტროფის ზონებში დაკარგული ადამიანების სწრაფ და ეფექტურ აღმოჩენას უზრუნველყოფს.

"კლასტერები"

© 2025

მეორე ადგილი და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პრიზი - სტენფორდის უნივერსიტეტში ტექნოლოგიების ბანაკში მონაწილეობა წილად ხვდა გუნდს „არმმო". გუნდმა, რომელიც თბილისის №9 საჯარო სკოლის, ფოთის №5 საჯარო სკოლისა და ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისგან შედგებოდა, წარმოადგინა პროექტი ტარებადი ეგზოსკელეტის შესახებ, რომელიც პოსტინსულტური პაციენტებისთვის მოტორული ფუნქციების აღდგენას უწყობს ხელს.

მესამე ადგილი მოიპოვა გუნდმა „RiskTrackers", რომლის წევრებიც წარმოადგენდნენ წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, ამერიკულ საერთაშორისო სკოლა „პროგრესს" (ქუთაისი), ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის №3 საჯარო სკოლასა და კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლას. გუნდმა იმუშავა პროექტზე, რომელიც მეწყერსაშიშ ზონებში საფრთხეების დროული პროგნოზირების მიზნით მონიტორინგის სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

ლიბერთის მხარდაჭერით, მესამე ადგილის მფლობელი გუნდი სასწავლო ვიზიტით გაემგზავრება შვეიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში — CERN-ში. აღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერით, ლიბერთი ხელს უწყობს ახალგაზრდებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისადმი ინტერესის გაძლიერებას და მათ ჩართულობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინოვაციური გადაწყვეტილებების შექმნაში.

"Armmo"

"RiskTrackers"

„ინოვაციის განვითარება საჭიროებს ეკოსისტემას, სადაც იდეა, განათლება და შესაძლებლობა ერთ სივრცეში იყრის თავს. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი სწორედ ასეთი ეკოსისტემის მაგალითია საქართველოში. ის უკვე ათი წელია აერთიანებს ახალგაზრდულ ნიჭს, განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ამ ინიციატივაში ლიბერთი ბანკის სტრატეგიული პარტნიორობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ლიბერთის მხარდაჭერა ქმნის ხიდს ადგილობრივ ინოვაციებსა და მსოფლიო დონის სამეცნიერო სივრცეებს შორის. CERN-ში გამგზავრების შესაძლებლობა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებული ახალგაზრდა ინოვატორებისთვის ნიშნავს არა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების მიღებას, არამედ იმის გაცნობიერებას, რომ მათი იდეები შესაძლოა კონკურენტუნარიანი გახდეს საერთაშორისო დონეზე და ისინი გლობალური ინოვაციების ეკოსისტემის მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ მომავალში."

მაგდა მაღრაძე
ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

© 2025

876

სულ კონკურსში მონაწილე გუნდი

3 500

2014 წლიდან კონკურსში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა

2025 წლის მონაცემები

101

კონკურსში მონაწილე გუნდი

337

კონკურსში მონაწილე მოსწავლე

53%

რეგიონებიდან მონაწილე მოსწავლე

47%

თბილისიდან მონაწილე მოსწავლე

54%

კონკურსში მონაწილე გოგონა

© 2025

46%

კონკურსში მონაწილე ვაჟი

12

ფინალში გადასული გუნდი

150

11 წლის განმავლობაში ფინალში
გადასული გუნდების მიერ შექმნილი
პროტოტიპების რაოდენობა

© 2025

07.

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE)

ხარისხიანი
განათლება

შემცირებული
უთანასწორობა

ღირსეული სამუშაო
ეკონომიკური ზრდა

პარტნიორობა
მიზნების
მისაღწევად

© 2025

„ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ (RDYE) მრავალმხრივ თანამშრომლობას ეფუძნება.

პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ, განევითარებინათ სამეწარმეო უნარები და შეექმნათ ან გაეფართოებინათ 50-ზე მეტი საწარმო, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას და უზრუნველყოფს რეგიონებში თანაბარი სამეწარმეო პირობების შექმნას.

ლიბერთის მხარდაჭერით განხორციელდა ფინანსური წიგნიერების პროგრამა, რომელიც აძლიერებს პროექტის გრძელვადიან სოციალურ გავლენას.



2025 წელს წარმატებით დასრულდა ლიბერთის სტრატეგიული პარტნიორობით განხორციელებული კიდევ ერთი პროექტი „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ (RDYE).

RDYE წარმოადგენს 3.5-წლიან პროგრამას, რომელიც განხორციელდა Mercy Corps Georgia-ს მიერ, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

© 2025

პროექტის ფარგლებში 18–35 წლის 1 500-ზე მეტ ახალგაზრდას, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრებს, ეკომიგრანტებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, მიეცა შესაძლებლობა განევითარებინა სამეწარმეო უნარები და შეექმნა ან გაეფართოებინა 50-ზე მეტი მდგრადი, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო საწარმო.

ლიბერთის ფინანსური კონტრიბუცია მოიცავდა ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერას, მათთვის ტრენინგების, კონსულტაციებისა და მენტორინგის სესიების ჩატარებას, ასევე სამეწარმეო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობას. პროექტისთვის სპეციალურად შემუშავებული ლიბერთის ფინანსური წიგნიერების სასწავლო მოდული 1 600-მდე მონაწილემ გაიარა.

ლიბერთი ასევე აქტიურად უზრუნველყოფდა პროექტის საკომუნიკაციო მხარდაჭერას — მედია გაშუქებასა და ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო და სოციალური მედიაარხით, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ინიციატივის ცნობადობის ზრდას როგორც რეგიონულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

„RDYE პროექტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალგაზრდების ბიზნეს უნარების განვითარების, მათი საქმიანობის მხარდაჭერისა და გაფართოების მიმართულებით. მახარებს ის ფაქტი, რომ პროექტმა შეძლო საქართველოს 4 რეგიონში 60 ახალგაზრდა მეწარმის ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც თავდაუზოგავად ავითარებენ თავიანთ საწარმოებს და აფართოებენ რეალიზაციის ბაზრებს ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი კომპონენტი - პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ფორმატის სამუშაო განაკვეთზე (ნახევარი, სრული და სეზონური) დასაქმდა 219 ადამიანი, მათ შორის - 132 ქალი. ქალთა გაძლიერება კი ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული ახალგაზრდებიდან 31 ქალი, ხოლო 29 - კაცი მეწარმეა. დარწმუნებული ვარ, ისინი მომავალშიც გააგრძელებენ თავიანთი საქმიანობის განვითარებას და მათი მიღწევები ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას, ახალგაზრდების მიგრაციის შემცირებასა და ახალი ინიციატივების პოპულარიზაციას. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო დონორსა და პარტნიორებს პროექტის მხარდაჭერისთვის. რომ არა ისინი, RDYE ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა"

გიგა სარუხანიშვილი
პროექტის „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის
განვითარებისთვის" დირექტორი

„პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა შეძლეს საკუთარი სამეწარმეო იდეების პრაქტიკაში განხორციელება და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტების შექმნა. ამ ეტაპზე უკვე მხარდაჭერილია 60-მდე ახალგაზრდა მეწარმე, რაც ასახავს ინიციატივის მდგრად და მასშტაბურ შედეგებს. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას, რეგიონებში დასაქმებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობების შექმნას, რაც ამცირებს მიგრაციის რისკებს და აძლიერებს ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადობას. აღნიშნული შედეგები შეესაბამება ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის, ასევე რეგიონებს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნებს და ასახავს ლიბერთის სტრატეგიულ პრიორიტეტებს მდგრადი განვითარების მიმართულებით.“

ვაჟა მენაბდე
ლიბერთი ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის დირექტორი

© 2025

1 600

ახალგაზრდა, რომელმაც გაიარა ლიბერთის ფინანსური წიგნიერების მოდული

1 500

პროექტში მონაწილე ახალგაზრდა

60

ახალგაზრდა მეწარმე, რომელმაც მიიღო დაფინასება

24

სტარტაპი, რომელმაც მიიღო დაფინანსება

36

არსებული ბიზნესი, რომელმაც მიიღო დაფინანსება

219

დასაქმდა პროექტის ფარგლებში

75

პროექტის ფარგლებში დასაქმებული ქალი

© 2025

33

პროექტის ფარგლებში
შექმნილი ახალი პროდუქტი

30

პროექტის ფარგლებში
დანერგილი ახალი სერვისი

© 2025

08.

STEAM Challenge Georgia

ხარისხიანი განათლება

ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

ოლიმპიადა STEAM Challenge Georgia ლიბერთის, ტექნოლოგიური პლატფორმა Skillwill-ისა და STEAM !t-ის პარტნიორობით განხორციელდა.

თანამედროვე საგანმანათლებლო ფორმატის წახალისებით ინიციატივა ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეებში პრაქტიკული აზროვნების, კრეატიული უნარებისა და გუნდური მუშაობის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობასა და, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას.

© 2025

ლიბერთი ბანკის სტრატეგიული პარტნიორობით, ტექნოლოგიური პლატფორმის Skillwill-ისა და STEAM მიდგომაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო რესურსების მწარმოებელი კომპანიის STEAM !t-ის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა მასშტაბური საგანმანათლებლო ოლიმპიადა STEAM Challenge Georgia.

ოლიმპიადა მიზნად ისახავდა სკოლის მოსწავლეებში პრაქტიკული აზროვნების, კრეატიული მიდგომისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, რაც ხელს უწყობს მათ მომზადებას თანამედროვე ტექნოლოგიური გარემოსთვის.

© 2025

ლიბერთის მიერ დაწესებული მთავარი პრიზი გადაეცა კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის გუნდს „კომაროვის ხუთეული“.

© 2025

„ლიბერთისთვის განათლების მხარდაჭერა სტრატეგიული პრიორიტეტია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინიციატივების წახალისება, რომლებიც არა მხოლოდ აუმჯობესებს მოსწავლეების საგნობრივ ცოდნას, არამედ აძლიერებს მათ რწმენას საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. STEAM Challenge Georgia სწორედ ასეთი პროექტია – ის აერთიანებს შემოქმედებითობას, ტექნოლოგიასა და ინოვაციას და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გახდნენ წარმატებული მომავლის აქტიური შემქმნელები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პრაქტიკული გამოცდილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავისუფლად მოაზროვნე, ინიციატივიანი და პროფესიონალი თაობის ჩამოყალიბებისთვის.”

ლევან სამუშია
ლიბერთის სახელმწიფო სექტორის დაფინანსებისა და სახელფასო პროექტების დეპარტამენტის უფროსი

© 2025

© 2025

30

ოლიმპიადაში მონაწილე
გუნდი

150

ოლიმპიადაში მონაწილე
მოსწავლე

© 2025

09.

ლიბერთის სტაჟირების პროექტი „Craft Your Future Career“

ხარისხიანი
განათლება

ღირსეული სამუშაო
ეკონომიკური ზრდა

პარტნიორობა
მიზნების მისაღწევად

პროფესიულ სასწავლებლებთან სტრატეგიული თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ეკოსისტემის შექმნას.

სასწავლო პროცესში პრაქტიკული სასწავლო გარემოს შექმნითა და პროფესიონალების აქტიური მონაწილოებით, სტუდენტებს ეძლევათ რეალურ სამუშაო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო სფეროსა და ბიზნესს შორის ეფექტური პარტნიორობა კი ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს.

© 2025

Craft your future » career

© 2025

მეექვსე წელია გრძელდება ლიბერთისა და პროფესიული სასწავლებლების სტრატეგიული თანამშრომლობა. 2019 წელს ლიბერთი გახდა პირველი ბანკი საქართველოში, რომელმაც ამ სფეროს მხარდაჭერა დაიწყო. თანამშრომლობის მიზანი პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ბიზნესის თანამედროვე მოთხოვნებთან დაახლოებაა.

პროექტის ფარგლებში ლიბერთის მიერ კოლეჯებში მოეწყო ბანკის მომსახურების სიმულაციური სივრცეები, რაც აადვილებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას. სფეროს სპეციფიკის შესწავლა არსებულ პროექტებზე მუშაობითა და რეალური დროის მენეჯმენტით სტუდენტებს ეხმარება პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და გამოცდილების დაგროვებაში. ამ ინიციატივის შედეგად, ლიბერთი არაერთი ახალგაზრდისთვის პირველ დამსაქმებლად იქცა.

© 2025

09.

ლიბერთის სასწავლო ცენტრის ტრენერები რეგულარულად ატარებენ სპეციალურ ტრენინგებს პროფესიული სასწავლებლების პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხოლო საფინანსო სერვისების მიმართულების ყველა სტუდენტი სასწავლო პრაქტიკას ლიბერთის ფილიალებში გადის.

2024 წელს ლიბერთიმ „პროფესიული განათლების ბიზნესპარტნიორის" ჯილდო მოიპოვა.

"ლიბერთის ინიციატივის ფარგლებში პროფესიულ სასწავლებლებში უკვე ასობით ახალგაზრდა ეუფლება საბანკო საქმეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დარგში კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების შესაძლებლობას. სწავლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალურად შექმნილი სიმულაციური სივრცეები და პრაქტიკულ მიდგომებზე დაფუძნებული სწავლება. ეს ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს მოკლე დროში შეიძინონ ის საჭირო ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რაც მათ წარმატებული კარიერული გზის დაწყებაში დაეხმარება."

ნინო ჩიხლაძე
ლიბერთის ადამიანური მართვისა და ადმინისტრაციის მიმართულების ხელმძღვანელი

© 2025

ლიბერთი
თანასწორი
შესაძლებლობებისთვის

© 2025

10. ინკლუზიური გარემო & თანასწორი შესაძლებლობები

ხარისხიანი განათლება

შემცირებული უთანასწორობა

ინკლუზიური გარემო და თანასწორი შესაძლებლობები“ ლიბერთისა და საქართველოს განვითარების ფონდის (GDF) თანამშრომლობით ხორციელდება და ზრუნავს შშმ პირებისთვის ადაპტირებული მომსახურების გარემოს შექმნაზე. პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა სივრცითი მისაწვდომობის სტანდარტი და შშმ პირების პოლიტიკის დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ სერვისს.

© 2025

© 2025

10.

ლიბერთი პირველი საფინანსო ინსტიტუტია საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით შეიმუშავა სივრცითი მისაწვდომობის სტანდარტი. პროექტი სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება.

პროექტი „ინკლუზიური გარემო და თანასწორი შესაძლებლობები“ ლიბერთის გუნდისა და საქართველოს განვითარების ფონდის (GDF) თანამშრომლობით ხორციელდება და გულისხმობს შშმ პირებისთვის სრულფასოვანი, ადაპტირებული მომსახურების გარემოს შექმნას.

2024 წელს პროექტის ფარგლებში შემუშავდა ინკლუზიური სტანდარტები და დაიწყო სივრცითი მისაწვდომობის დანერგვა.

2025 წელს დამტკიცდა შშმ პირების პოლიტიკის დოკუმენტი, დაიწყო მომსახურების სტანდარტის ინტეგრირება და შემუშავდა ადაპტირებული ფილიალის მოდელი. ასევე, მომზადდა უსინათლო პირების მომსახურების სტანდარტი, რომლის დანერგვა 2026 წლიდან იგეგმება.

© 2025

პროექტის ფარგლებში სრულად ადაპტირდა საპილოტე ფილიალი, სადაც უკვე ფუნქციონირებს უსინათლოთა მომსახურების სერვისი სატესტო რეჟიმში. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია 10 ფილიალის სრული ადაპტირება.
მნიშვნელოვანია, რომ ლიბერთის სასწავლო ცენტრმა საქართველოს განვითარების ფონდთან ერთად შექმნა მომხმარებელთან როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ კომუნიკაციის ტრენინგის „ინკლუზიური მომსახურების“ სასწავლო მოდული. უშუალოდ ამ მიმართულებით გადამზადდნენ ტრენერები (TOT) და სასწავლო მოდული გაიარა 309 თანამშრომელმა.

© 2025

„განახლებული სტანდარტებისა და ახალი პოლიტიკის დანერგვა გვაძლევს მკაფიო გზამკვლევს, რომ ჩვენი მომსახურება კიდევ უფრო ინკლუზიური გავხადოთ. ჩვენ ვცვლით მიდგომას, რათა ლიბერთიში მოსულმა თითოეულმა ადამიანმა მიიღოს მისი საჭიროებების შესაბამისი და ღირსეული მომსახურება.“

ნინო ბერიძე
მომხმარებლის გამოცდილების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

„მისაწვდომი გარემო ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ და ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ, ლიბერთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომსახურების პროცესების გამარტივებასა და ფილიალების ადაპტირებას. მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე ცვლილებების ნაწილი ვარ და ჩემი წვლილი შემაქვს უფრო ხელმისაწვდომი გარემოს შექმნაში.“

ნიკა გიგოლაშვილი
ლიბერთის სტრატეგიული პროექტების მენეჯერი,
პროდუქტების და პროცესების განვითარების დეპარტამენტი

© 2025

“ჩვენთვის, როგორც პასუხისმგებლიანი ფინანსური ინსტიტუტისთვის, შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი და ღირსეული მომსახურების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ვალდებულება, არამედ ღირებულებაა. 2025 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით - დავიწყეთ წინა ხაზის თანამშრომლების მიზნობრივი განვითარება, რაც მათ საშუალებას აძლევს, თითოეულ მომხმარებელს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მოემსახურონ. სასწავლო ცენტრის (Talent Factory) აქტიური ჩართულობით, ეს პროცესი გადაიქცა უწყვეტი განვითარების კულტურის ნაწილად, რომელიც ქმნის უფრო ინკლუზიურ გარემოს როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ ხარისხიანი მომსახურება იწყება ცნობიერებით, გრძელდება ცოდნით და სრულდება ემპათიით.”

მახარე მერებაშვილი
ლიბერთის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი

© 2025

ინკლუზიური მომსახურების ტრენინგი გაიარა ლიბერთის

309

თანამშრომელმა

© 2025

11.

გულით ერთმანეთისთვის

ღირსეული სამუშაო
ეკონომიკური ზრდა

ჯანმრთელი ცხოვრება
და კეთილდღეობა

„გულით ერთმანეთისთვის“ ლიბერთის თანამშრომლების საქველმოქმედო ფონდია, რომელიც 2020 წელს შეიქმნა და რომლის მიზანია ბანკის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება.
ინიციატივა გამოხატავს ორგანიზაციის ზრუნვას საკუთარი გუნდის კეთილდღეობაზე და აყალიბებს სოლიდარობის კულტურას.

874

ფონდში ჩართული
თანამშრომელი

© 2025

ლიბერთი

© 2025

„ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ არა მხოლოდ წარმატებული ორგანიზაცია, არამედ ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომლის მთავარი ღირებულება ადამიანია. გუნდში პროფესიონალიზმისა და დატვირთული სამუშაოს მიღმა ადამიანური ურთიერთობები და ერთმანეთის მორალური მხარდაჭერა გვაერთიანებს. ამ ფონდის მიზანი სწორედ ყველაზე რთულ დროს საკუთარი თანამშრომლების გვერდით დგომაა.“

ნინო ჩიხლაძე
ლიბერთი ბანკის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

5 წლის განმავლობაში "ლიბერთი გულით" პროექტის ფარგლებში

401

თანამშრომელი, რომელსაც გაეწია ფინანსური მხარდაჭერა

2025 წლის მონაცემები

97

გაცემული დონაციები

₾803 291

₾157 990

ლიბერთის მიერ 2020 წლიდან ფონდში ჩარიცხული თანხა

₾300 000

© 2025

ლიბერთი
უფროსი
თაობისთვის

© 2025

12.
MyDoc+ მოძრავი კლინიკა

ჯანმრთელი
ცხოვრება და
კეთილდღეობა

შემცირებული
უთანასწორობა

ლიბერთის სოციალური პროექტი MY DOC ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას ზრდის იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ეს სერვისი შეზღუდულია. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მოძრავი კლინიკა ქვეყნის მასშტაბით 60+ ადამიანებს, სოციალური სარგებლის მიმღებ მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ჯანდაცვაზე წვდომის ბარიერებს რეგიონებში.

2025 წლიდან პროგრამას დაემატა ოფთალმოლოგიური სკრინინგი, რაც აძლიერებს პრევენციული ჯანდაცვის კომპონენტს.

© 2025

MyDoc

ლიბერთი
MyDoc
მობილური ტელესამედიცინო კლინიკა
www.mydoc.ge
ამერიკული
პოსპიტალი თბილისი

sonka
MEDICAL

© 2025

2025 წელს განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა ლიბერთის სოციალური პროექტი MY DOC, რომელიც ოთხი წლის წინ სპეციალურად უფროსი თაობისთვის შეიქმნა. ინიციატივა მიზნად ისახავს იმ ადამიანების დახმარებას, ვისთვისაც ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება გეოგრაფიული თუ სხვა მიზეზით ხშირად ძნელად ხელმისაწვდომია.

MY DOC თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მოძრავი კლინიკაა, რომელიც ლიბერთის ექსპრეს მანქანებთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით გადაადგილდება და ადგილზე სთავაზობს უფასო სამედიცინო მომსახურებას ლიბერთის 60+ მომხმარებლებს.

ამ დრომდე პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა გულ-სისხლძარღვოვანი და სასუნთქი სისტემის დაავადებების მაღალტექნოლოგიური კვლევები. 2025 წლის დეკემბრიდან პროგრამას დაემატა ოფთალმოლოგიური მიმართულება — კატარაქტისა და გლაუკომის მაღალტექნოლოგიური უფასო სკრინინგი საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის.

© 2025

2025 წელს MY DOC-ის მოძრავმა კლინიკამ ქვეყნის მასშტაბით 244 სოფელი მოიარა და უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწია ლიბერთის 2 489 მომხმარებელს.

პროექტის სოციალური მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზეც აღიარეს – ინიციატივა Global Compact Awards-ის 2022 წლის გამარჯვებული გახდა.

„ტელეკლინიკა MyDoc ლიბერთის ლოიალობის განვითარების ერთ-ერთი გამორჩეული ინიციატივაა. სოფლად მცხოვრები უფროსი თაობის ადამიანები პროექტის ფარგლებში ადგილზე იღებენ მაღალტექნოლოგიურ, უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ მომსახურებას — სერვისს, რომელიც ბევრისთვის ძნელად ხელმისაწვდომია. თითოეული ვიზიტი მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის რეალურ შესაძლებლობას აძლევს, ზოგისთვის კი ეს დროულ დიაგნოსტიკასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს ნიშნავს.

პროექტს ეტაპობრივად სულ უფრო ვავითარებთ. 2025 წელს გულ-სისხლძარღვოვან და სასუნთქი გზების კვლევას დავამატეთ უფროსი თაობისთვის მნიშვნელოვანი მიმართულება - ოფთალმოლოგია - გლაუკომისა და კატარაქტის მაღალტექნოლოგიური სკრინინგის სახით. მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 11 000-მდე ადამიანს გავუწიეთ მომსახურება. ინოვაციური პროექტის წარმატება ბენეფიციარების კმაყოფილებაში აისახება. პროექტის მიმართ მაღალი ინტერესი და წარმატებული შედეგები დამატებითი მოტივაციაა, ვიზრუნოთ სიახლეების და ინოვაციური მიდგომის მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობაზე.”

დარეჯან მალაღურაძე
ლიბერთის ციფრული ბანკინგისა და ინოვაციების ოფისი,
ლოიალობის განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი

© 2025

2025 წლის მონაცემები

10 537 ადამიანი **2 489**

951 სოფელი *244*

13.

სარგებელი სოციალური ბარათის მფლობელებისთვის

ღირსეული საგუშაო ეკონომიკური ზრდა

შემცირებული უთანასწორობა

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

ლიბერთის ლოიალობის პროგრამა სოციალური ბარათის მფლობელებისთვის მიზნად ისახავს ბენეფიციარებისთვის სხვადასხვა ტიპის პროდუქტსა და სერვისზე წვდომის გაუმჯობესებას და ყოველდღიური ხარჯების შემცირებას.

2025 წელს პროგრამა გაფართოვდა და დაზოგვა გავრცელდა როგორც პირველადი საჭიროების პროდუქტებზე, ასევე სხვადასხვა სერვისსა და სპეციალურ შეთავაზებებზე, რაც ზრდის მომხმარებლების ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ქმნის თანაბარ სოციალურ პირობებს.

© 2025

ლიბერთი უკვე 7 წელია ახორციელებს
უნიკალურ ლოიალობის პროგრამას
სოციალური ბარათების მფლობელებისთვის.
ბენეფიციარებისთვის პროექტის
აქტუალობიდან გამომდინარე, 2025 წელს
მნიშვნელოვნად გაფართოვდა პარტნიორი
კომპანიების არეალი.

© 2025

პროგრამაში ამჟერად ჩართულია 22 პარტნიორი კომპანია, მათ შორის ქსელური სუპერმარკეტები, აფთიაქები და თეატრები მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში ლიბერთის უფროსი თაობის მომხმარებლები და სოციალური ბარათის სხვა მფლობელები განსაკუთრებული შეთავაზებებითა და პრივილეგირებული პირობებით სარგებლობენ.

2019 წლიდან დღემდე, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებელთა მიერ დაზოგილმა ჯამურმა თანხამ 40 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

© 2025

უნიკალური ლოიალური სოციალური პროგრამის ფარგლებში მომხმარებელთა დაზოგილი თანხა

₾40 575 083

22

პარტნიორი ორგანიზაციაა ჩართული ლიბერთის
სოციალური ლოიალობის პროექტებში

© 2025

ლიბერთი
გარემოზე ზრუნვისთვის

© 2025

14.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ESG მიმართულებით

ხარისხიანი
განათლება

ღირსეული სამუშაო
ეკონომიკური ზრდა

პარტნიორობა
მიზნების მისაღწევად

2025 წელს, ბრიუსელში საერთაშორისო პარტნიორებთან გამართული შეხვედრების შედეგად, ლიბერთი კიდევ უფრო აძლიერებს ESG პრაქტიკას.

ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები მიეძღვნა ევროპული ინსტიტუტებისა და ევროკავშირის საბჭოს რეგულაციების გაცნობას, რაც ხელს უწყობს ESG პრინციპების პრაქტიკაში ინტეგრირებას, აძლიერებს ბიზნესის როლს გლობალური განვითარების პრიორიტეტებში და უზრუნველყოფს საქმიანობის წარმართვას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

© 2025



2025 წელს ლიბერთის ESG გუნდის წევრებმა, როგორც გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი კომპანიის წარმომადგენლებმა, ბრიუსელში სამუშაო შეხვედრები გამართეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ პასუხისმგებლიანი ბიზნესის მდგრად განვითარებასა და ანგარიშგების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაზე. შეხვედრების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპული ინსტიტუტების, ევროპული საბჭოსა და ევროკავშირის საბჭოს როლს მდგრადობასთან დაკავშირებული რეგულაციების ფორმირებაში; ასევე იმ მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) პრინციპების პრაქტიკაში ინტეგრირებაში. გამოიკვეთა ბიზნესის მზარდი როლი გლობალური განვითარების პრიორიტეტების განხორციელებაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ლიბერთის მისწრაფებას – წარმართოს საქმიანობა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებების შესაბამისად.

© 2025

„ბელგიაში განხორციელებული სამუშაო ვიზიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართული კერძო სექტორისთვის ევროკავშირის მდგრადობის ჩარჩოს უკეთ გასაცნობად და პრაქტიკაში ინტეგრაციისთვის. ევროკავშირის ინსტიტუტებთან, მათ შორის, ევროკომისიასთან, ევროპარლამენტთან და შესაბამის პროფესიულ პლატფორმებთან პირდაპირი დიალოგი მონაწილე კომპანიებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა მდგრადი დაფინანსება, კლიმატის პოლიტიკა და კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება.

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ESG ტრანსფორმაციის პროცესში, რადგან ის ეხმარება ქართულ კომპანიებს უკეთ გააცნობიერონ რეგულაციური ტენდენციები, მათ შორის ანგარიშგების სტანდარტები, და წინასწარ მოემზადონ იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც უკვე ახდენს გავლენას როგორც ევროპულ, ასევე პარტნიორ ბაზრებზე მოქმედ ბიზნესზე.

ამასთან, მსგავსი ვიზიტები ხელს უწყობს პარტნიორობების გაძლიერებას, გამოცდილების გაზიარებას და ქართულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი საქმიანობა მეტად დაახლოონ ევროპულ საუკეთესო პრაქტიკებთან, რაც საბოლოოდ ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და მდგრად განვითარებაში მათ წვლილს.”

ნინო კვანტრიშვილი
გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს
ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

© 2025

„ბელგიაში სამუშაო ვიზიტი ჩემთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო, ადგილზე მენახა, როგორ გარდაიქმნება მდგრადობა პოლიტიკის დონიდან პრაქტიკულ გადაწყვეტილებებად - მათ შორის ფინანსურ სექტორში.

როგორც ლიბერთი ბანკის ESG გუნდის წარმომადგენლისთვის, განსაკუთრებულად საინტერესო იყო იმის გაცნობიერება, თუ როგორ ახორციელებენ ევროპული ინსტიტუტები და კერძო სექტორი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სისტემურ ინტეგრაციას – სტრატეგიული დაგეგმვიდან დაწყებული, ყოველდღიურ ოპერაციებსა და ფინანსურ პროდუქტებამდე.

ESG ტრანსფორმაცია აღარ არის მხოლოდ გრძელვადიანი ხედვა ან რეგულაციური მოთხოვნა, არამედ ის უკვე მიმდინარე პროცესია, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციების მდგრადობას, რისკების მართვის ხარისხსა და მათ კონკურენტუნარიანობას.

განსაკუთრებით ღირებული იყო იმ პრაქტიკული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობა, რომლებიც გამოიყენება კლიმატის რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვისთვის, ასევე მწვანე დაფინანსების მიმართულებების გასაძლიერებლად.

მსგავსი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს, დავეყრდნოთ ევროპულ საუკეთესო პრაქტიკებს და წინასწარ მოვემზადოთ იმ ცვლილებებისთვის, რომლებიც უკვე განსაზღვრავს ფინანსური სექტორის განვითარებას როგორც ევროკავშირში, ისე პარტნიორ ბაზრებზე.”

ნუცა კიკნაძე
ლიბერთის ESG და რისკების მართვის მენეჯერი

© 2025

15.

ლიბერთისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შორის ტექნიკური დახმარების პროექტი

ხარისხიანი განათლება

კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

European Investment Bank-თან თანამშრომლობამ უზრუნველყო ESG პრინციპების სისტემური ინტეგრირება ლიბერთის საქმიანობაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა და სამუშაო შეხვედრებმა ხელი შეუწყო თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, დაინერგა მწვანე დაფინანსების პოლიტიკა და კლიმატური რისკების შეფასების მექანიზმები.

ინიციატივა აძლიერებს ბანკის შესაძლებლობას, იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და განავითაროს ეფექტური პარტნიორობები მდგრადი განვითარების მიმართულებით.

© 2025

© 2025

2025 წელს წარმატებით დასრულდა ლიბერთი ბანკისა და European Investment Bank-ს შორის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ESG სახელმძღვანელო პრინციპების ეფექტიანი დანერგვა ბანკის საქმიანობაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, მათ შორის, თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა ორგანიზაციას ESG საკითხების ინსტიტუციურ დონეზე ინტეგრაციაში.

ასევე, მომზადდა და დაინერგა რიგი სტრატეგიული და საოპერაციო დოკუმენტებისა: მწვანე დაფინანსების სტრატეგია, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტი, მწვანე დაფინანსების ჩარჩო და სხვა შესაბამისი პოლიტიკები. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის მყარ საფუძველს ბანკში ESG რისკების მართვის, კლიმატური საკითხების ინტეგრაციისა და მდგრადი ფინანსური პროდუქტების განვითარებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ჩარჩოების ფარგლებში განისაზღვრა Liberty Bank-ისთვის პრიორიტეტული სექტორები და საქმიანობის მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობს პორტფელის ეტაპობრივ გამწვანებას. ამასთან, დოკუმენტებში განსაზღვრულია კონკრეტული, გაზომვადი და დროში განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან მონიტორინგსა და პროგრესის შეფასებას. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ბანკის ESG ტრანსფორმაციის პროცესში და კიდევ უფრო ამყარებს მის მზადყოფნას, უპასუხოს როგორც ადგილობრივი რეგულაციების, ისე საერთაშორისო სტანდარტებისა და პარტნიორების მზარდ მოთხოვნებს.

2025 წელს განხორციელებული თითოეული ინიციატივა საერთო პასუხისმგებლობისა და ძალისხმევის შედეგია.

ლიბერთისთვის ინკლუზიური და მდგრადი განვითარება მხოლოდ სიტყვები არ არის – ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და რეალური მიზანია, რომლის მისაღწევ გზაზე გადამწყვეტია საერთო ხედვა და აქტიური მოქმედება.

ჩვენთვის უმთავრესი მონაპოვარი მომხმარებლების, პარტნიორებისა და თანამშრომლების ნდობა და მხარდაჭერაა, რომელიც უპირობოდ ქმნის წარმატების საფუძველს.

სწორედ მათი ცოდნა, გამოცდილება და ერთგულება გვაძლევს საშუალებას, მიზნები რეალობად ვაქციოთ.

ამ ანგარიშით გულწრფელად გიხდით მადლობას თითოეულ თქვენგანს, ვისთან ერთადაც ვაგრძელებთ ჩვენი საზოგადოების უკეთეს მომავალზე ზრუნვას.

© 2025

© 2025